* შენიშვნა! წითლად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები, ასევე, მინიმალური მონაცემები.
* შენიშვნა! ფრცხილებში ინფორმაცია ჩაიწერება ინდივიდუალურად დეპოზიტის ვადიდან და მოცულობიდან გამომდინარე
** შენიშვნა! წინამდებარე დოკუმენტი არის ხელშეკრულების ნიმუში. ინდივიდუალურ კლიენტთან მიმართებაში კონკრეტული პირობები არის ცვლადი.
„შენიშვნა! ცისფრად აღნიშნული ტექსტით განსაზღვრულია ცვლადი მონაცემები და ყველა ტექსტი არ იქნება გამოყენებული.

ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები

მიზნობრივი ანაბრის ხელშეკრულება N [ანაბრის ხელშეკრულების ნომერი]

ანაბრის საპროცენტო განაკვეთი

- ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი = **ცვლადი**
- ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი] %
- ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი] %

ფინანსური ხარჯები

- მიმდინარე ანგარიშის მომსახურების ყოველთვიური საკომისიო = [რიცხვი][1]

სხვა სახელშეკრულებო ინფორმაცია

- ანაბრის თანხა და ვალუტა = [რიცხვი და ვალუტა]
- ანაბრის ვადა = [თვე]
- ვადიანი ანაბრის ვადაზე ადრე დარღვევის პირობები = [პირობა/რიცხვი/ვადა]
- მომხმარებელს აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება.
- მეანაბრის მიერ ხელშეკრულების ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, ბანკი უზრუნველყოფს ანაბრის თანხის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის მეანაბრისთვის გადაცემას/მეანაბრის ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხვას/ასახვას.
- „თქვენი ანაბარი დაზღვეულია „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილ დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ფარგლებში“.
- ,,დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან, ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagensy.ge.
- საპროცენტო განაკვეთის ცვლილების ან/და ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობების ცვლილების შემთხვევაში, მომხმარებლის ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე, ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში – არანაკლებ ერთი თვით ადრე, ამასთან, ხელშეკრულებით წინასწარ განსაზღვრული და მომხმარებლის ქმედებით გამოწვეული გარემოებების დადგომის გამო ხელშეკრულების ცვლილების/ფასის ზრდის შემთხვევაში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მეანაბრის იფორმირება მოხდება ცვლილებების განხორციელებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წერილობით/ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლე ტექსტური შეტყობინებით. ხელშეკრულების პირობების ცვლილება, რომელიც ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ, არ საჭიროებს კლიენტის თანხმობას ან/და რაიმეფორმით კლიენტის ინფორმირებას.
- მომხმარებელს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია ფინანსური ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.
- **უცხოური ვალუტით განთავსებული ანაბარი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს; ლარის შესაძლო 15%-იანი გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული ანაბრის ეფექტური**

საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი] % (უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში)

- ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ბანკის ვებგვერდზე: www.credobank.ge **(უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში)**
- გაეცანით მომხმარებელთათვის სასარგებლო ინფორმაციას საქართველოს ეროვნული ბანკის ვებგვერდსა - http://nbg.gov.ge/cp და ცხელ ხაზზე - 032 2 406 406.

–[1]ჩაიწერება სხვა ნებისმიერი ფინანსური ხარჯი (არსებობის შემთხვევაში)

მიზნობრივი ანაბრის ხელშეკრულება [ანაბრის ხელშეკრულების ნომერი]

ქალაქი [რიცხვი] [თვე] 20[---] წელი

წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მსურს გამეხსნას **მიზნობრივი ანაბარი** და **საანაბრე ანგარიში,** ქვემოთ მოცემული პირობების შესაბამისად:

1. **მიზნობრივი ანაბრის პირობები:**

- **ანაბრის** ტიპი: მიზნობრივი ანაბარი
- **ანაბრის თანხა** და ვალუტა: [რიცხვი და ვალუტა]
- **ანაბრის** ვადა და დასრულების თარიღი: [თვე და დასრულების თარიღი]
- **ანაბრის** გახსნისთვის მინიმალური მოთხოვნები: **10** (ვალუტა)
- **საპროცენტო განაკვეთი:**
- ანაბრის საპროცენტო განაკვეთის ტიპი = **ცვლადი**
- ანაბრის წლიური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი] %
- ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი] %
- **საპროცენტო სარგებლის** დარიცხვის პირობები: ყოველდღიურად, წელიწადში 365 (სამას სამოცდახუთი)დღეზე დააგნარიშებით
- **საპროცენტო სარგებლის** რეალიზაცია: [პირობა]
- **ანგარიში,** რომელზეც უნდა მოხდეს საპროცენტო სარგებლის რეალიზაცია: [ანგარიშის ნომერი]
- **ანგარიში,** რომელზეც უნდა მოხდეს ანაბრის რეალიზაცია: [ანგარიშის ნომერი]
- **ანაბრის** ავტომატურად გაგრძელების პირობები: [პროლონგაციით/პროლონგაციის გარეშე]
- **ანაბრის** ავტომატურად გაგრძელების რაოდენობა: [შეუზღუდავი]
- **ანაბარზე** თანხის დამატების შესაძლებლობა**:** ნებისმიერ დროს/ნებისმიერი ოდენობით
- **ანაბარზე** ყოველთვიური შენატანი: არ არის სავალდებულო
- მომხმარებელს აქვს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის უფლება
- მეანაბრის მიერ **ხელშეკრულების** ვადამდე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, შეწყვეტიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) კალენდარული დღისა, **ბანკი** უზრუნველყოფს ანაბრის თანხის და მასზე დარიცხული საპროცენტო სარგებლის მეანაბრისთვის გადაცემას/მეანაბრის ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხვას/ასახვას.
- **ანაბრის** ვადაზე ადრე დარღვევის პირობები: [პირობა/პროცენტი]
- უცხოური ვალუტით განთავსებული ანაბარი მომხმარებელს მნიშვნელოვანი რისკის წინაშე აყენებს! ვალუტის კურსის ცვლილებამ შესაძლოა ლარით გამოხატული სარგებელი მნიშვნელოვნად შეამციროს; ლარის შესაძლო 15%-იანი გამყარების შემთხვევაში გაანგარიშებული ანაბრის ეფექტური საპროცენტო განაკვეთი = [რიცხვი] % (უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში)
- ეროვნულ ვალუტაში მსგავსი პირობების მქონე პროდუქტთან დაკავშირებულ ინფორმაციას შეგიძლიათ გაეცნოთ ბანკის ვებგვერდზე: www.credobank.ge (უცხოურ ვალუტაში გახსნილი ანაბრის შემთხვევაში)

- **საანაბრე ანგარიშთან და/ან კლიენტთან დაკავშირებით ყადაღის დადების აქტის, საინკასო დავალების და/ან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ვალდებულების უზრუნველყოფის სხვა ღონისძიებ(ებ)ის არსებობის/გამოყენების შემთხვევაში, არ განხორციელდება ანაბრის ვადის ავტომატური გაგრძელება (პროლონგაცია).**[პროლონგაციის შემთხვევაში]
- პროლონგაციების რაოდენობა შეზღუდული არ არის, **ანაბრის** ვადის ავტომატურად გაგრძელების შემთხვევაში **ანაბარზე** გავრცელდება **ბანკში** იმ მომენტისათვის მოქმედი წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული **ანაბრის ტიპისათვის** დადგენილი პირობები და ტარიფები/**საპროცენტო სარგებელი.**[პროლონგაციის შემთხვევაში]
- **ანაბრის** ვადის ავტომატურად გაგრძელება არ განხორციელდება იმ შემთხვევაში, თუ: ა) **ბანკში** იმ მომენტისათვის აღარ იარსებებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული **ანაბარის ტიპი** ან/და მსგავსი საბანკო პროდუქტი ბ) **ბანკში** იმ მომენტისათვის აღარ იარსებებს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული **ანაბრის ტიპი** მსგავსი პირობებითა და ვადით.[პროლონგაციის შემთხვევაში]

2. **სპეციფიკური პირობები:** ა) იმ შემთხვევაში, თუ **ანაბარი** გამოყენებულია ან/და სამომავლოდ მოხდება მისი გამოყენება **ბანკის** მიერ როგორც უშუალოდ **კლიენტ**ის, ისე ნებისმიერი მესამე პირის მიმართ არსებული მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად, **კლიენტი** არ იქნება უფლებამოსილი მოითხოვოს **ანაბრის** ვადაზე ადრე დარღვევა, **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. ბ) იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ვადაზე ადრე დაარღვევს და ანაბრის თანხას გაიტანს განთავსებიდან 7 (შვიდი) კალენდარულ დღეზე ადრე, კლიენტზე გავრცელდება საბანკო პროდუქტების და მომსახურების სტანდარტული ტარიფით განსაზღვრული თანხის

გატანის სტანდარტული ტარიფი.

3. **კლიენტის** მიერ პრეტენზიის დაფიქსირება შესაძლებელია როგორც **ბანკის** სერვისცენტრებში, ისე ვებ გვერდის: https://bit.ly/30510Je **ბანკის** ოფიციალური „ფეისბუქის“ გვერდის https://www.facebook.com/CredoBank ან/და ბანკის სატელეფონო ცენტრის (ნომერი: 032 2424242) მეშვეობით, ზეპირი, წერილობითი, სტანდანდარტული წერილობითი ან/და ელექტრონული ფორმით. სტანდარტული წერილობითი პრეტენზიის ფორმა ხელმისაწვდომია **ბანკის** ნებისმიერ სერვის- ცენტრში. პრეტენზიის განხილვის პროცედურის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე https://credobank.ge/protection/. პრეტენზიას განიხილავს **ბანკის** მომხმარებელთა პოზიტიური გამოცდილების მართვის დეპარტამენტი. **ბანკის** მიერ პრეტენზიის გახილვა მოხდება საქართველოს კანონმდებლობისა და **ბანკში** დადგენილი პროცედურების შესაბამისად და **კლიენტისათვის** პასუხის დაბრუნება მოხდება ნებისმიერი ფორმით პრეტენზიის მიღებიდან მაქსიმუმ 1 (ერთი) თვის ვადაში, თუ კანონმდებლობით ან/და საერთაშორისო პრაქტიკით სხვა რამ არ არის განსაზღვრული. პრეტენზიასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების შესახებ **კლიენტს** ეცნობება მოთხოვნილი ფორმის მეშვეობით: წერილობით ან კომუნიკაციის სხვა საშუალებით (ელექტრონული, ციფრული ან სხვა). პრეტენზიის განხილვი პროცედურასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია **ბანკის** ვებგვერდზე: https://credobank.co/3Aaajg7 და ტელეფონის ნომერზე: 032 2424242.
4. **მიზნობრივი ანაბრის ხელშეკრულების** ფარგლებში წამოჭრილი ნებისმიერი დავა, პირველ ეტაპზე წყდება მოლაპარაკებით. მოლაპარაკების უშედეგოდ დასრულების შემთხვევაში ან/და თუ რომელიმე **მხარე** ჩათვლის, რომ მოლაპარაკების დაწყება იქნება უშედეგო, თითოეული **მხარე** უფლებამოსილია მოლაპარაკების გარეშეც, პირდაპირ მიმართოს სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესის შესაბამისად. **მხარეები** თანხმდებიან, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ, **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეულ იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.
5. **მხარეთა** შეთანხმებით ხელშეკრულების პირობები ცვალებადია და განისაზღვრება **ბანკის** მიერ ცალმხრივად. **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, ცალმხრივად შეცვალოს **ხელშეკრულების მნიშვნელოვანი პირობები**, მათ შორის, **ხელშეკრულებით** დადგენილი **საკომისიოს** ან/და სხვა გადასახდელების ოდენობა(ები), დარიცხვის, გაცემის და განკარგვის წესები, შეცვალოს (შეამციროს) **საპროცენტო სარგებლის** ოდენობა(ები), მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: ა) საბაზრო საპროცენტო განაკვეთ(ებ)ი შეიცვლება არანაკლებ 5(ხუთი) პროცენტული პუნქტისა; ბ) კანონმდებლობის ცვლილება გამოიწვევს **ბანკის** მდგომარეობის გაუარესებას; რის თაობაზეც **კლიენტის** ინფორმირება მოხდება ცვლილებამდე არანაკლებ 2 (ორი) თვით ადრე. ხოლო სხვა საფინანსო პროდუქტის ფასის ზრდის შემთხვევაში, მეანაბრის ინფორმირება განხორციელდება ცვლილებამდე 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით/ ელექტრონული ფოსტით/ინტერნეტბანკით/მოკლეტექსტური შეტყობინებით. ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა **ბანკის** შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან;
6. წინამდებარე **ხელშეკრულებაზე** ხელმოწერით **კლიენტი** ადასტურებს, რომ სრულად გაეცნო და ეთანხმება: ა) წინამდებარე **ხელშეკრულებით** განსაზღვრულ პირობებს; ბ) სს „კრედო ბანკის“ ვებ-გვერდზე - https://credobank.co/4eQzmDB- განთავსებულ საბანკო პროდუქტებით მომსახურების სტანდარტულ პირობებს https://credobank.co/3V464d9; გ) სს „კრედო ბანკის“ ვებ-გვერდზე -www.credobank.ge - განთავსებულ ანაბრის პირობებს და საპროცენტო განაკვეთებს https://credobank.co/40b6wZ5;

ბანკის საზედმხედველო ორგანო: საქართველოს ეროვნული ბანკი, მისამართი: 0114 თბილისი, საქართველო, სანაპიროს ქუჩა № 2.

ბანკი

ბანკის სახელწოდება: ს/ს "კრედო ბანკი"
საიდენტიფიკაციო კოდი: 205232238
რეგისტრაციის ფორმა: კომერციული ბანკი.
საზედამხედველო ორგანო: საქ. ეროვნული ბანკი
მისამართი: თბილისი, თაბუკაშვილის ქ N 27
წარმომადგენელი: [---]
ტელეფონის ნომერი: (032) 2 42 42 42
ელ. ფოსტა: info@credo.ge

კლიენტი:

სახელწოდება, სახელი, გვარი: [---]
საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი: [---]
იურიდიული მისამართი: [---]
ფაქტიური მისამართი:[---]
წარმომადგენელი: [---]
წარმომადგენელი: [---]
ელ. ფოსტა: [---]
ტელეფონისნომერი: {PersonMobileN}

სტანდარტული პირობები:

1. **მიზნობრივი ანაბრის** ხელშეკრულების საფუძველზე, **ბანკი** გაუხსნის **კლიენტის საანაბრე ანგარიშს და მიზნობრივ ანაბარს.**
2. **ბანკი** ვალდებულია, ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, **მიზნობრივი ანაბრის** ვადის გასვლის შემდეგ, **ანაბრის თანხა** და მასზე დარიცხული **საპროცენტო განაკვეთი** დააბრუნოს იმავე ვალუტაში, რა ვალუტაშიც მიიღო ის **კლიენტისგან**. ამასთან, თუ **ანაბრის თანხა** განთავსებულია რუსულ რუბლში, **ბანკი** უფლებამოსილია **ანაბრის თანხის** გაცემა განახორციელოს **მიზნობრივი ანაბრის** ვადის გასვლიდან (ან/და ვადაზე ადრე შეწყვეტიდან) 3 **საბანკო დღის** ვადაში.
3. **მიზნობრივ ანაბარზე საპროცენტო სარგებლის** დარიცხვა დაიწყება **საანაბრე ანგარიშზე ანაბრის თანხის** განთავსების დღიდან.
4. **კლიენტი** უფლებამოსილია **მიზნობრივი ანაბრის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, ნებისმიერ დროს, გაზარდოს **ანაბრის თანხის** მოცულობა.
5. **ბანკი** უფლებამოსილია არ დაუშვას **კლიენტის** მიერ **ანაბრის თანხის** ან მისი ნაწილის გატანა **მიზნობრივი ანაბრის** ვადის ამოწურვამდე, თუ უშუალოდ **განაცხადით** ან **მხარეთა** დამატებითი შეთანხმებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული.
6. იმ შემთხვევაში, თუ **ვადიანი ანაბარი** გამოყენებულია **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ვალდებულებების უზრუნველსაყოფად (ასევე დეპოზიტები, რომლის პირველადი შენატანი მეტია 1 000 000 ლარზე ან მის ეკვივალენტზე სხვა ვალუტაში, მაგრამ არ არის გამოყენებული ვალდებულებების უზრუნველსაყოფად), **ბანკი** უფლებამოსილია, **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესრულების უზრუნველსაყოფად **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, ვადაზე ადრე შეწყვიტოს **ვადიანი ანაბრის** მოქმედება, გადაიტანოს **ანაბრის თანხა კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე** და არსებული თანხა მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად.
7. **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, **კლიენტის** დამატებითი თანხმობის გარეშე, **ანაბრის თანხა** სრულად ან ნაწილობრივ მიმართოს **კლიენტის** მიერ **ბანკის** წინაშე არსებული ვალდებულებების (როგორც საკრედიტო, ისე ნებისმიერი სხვა სახის გარიგებიდან გამომდინარე) სრულად ან ნაწილობრივ შესასრულებლად, ისე რომ არ მოხდეს **ანაბრის თანხის** გადატანა **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე**, თუ **ვადიანი ანაბარი** გამოყენებულია **ბანკის** მიმართ **კლიენტის** ვალდებულებების უზრუნველსაყოფად და **ვადიანი ანაბრის** ვადა არ არის უზრუნველყოფილი ვალდებულების შესრულების ვადაზე ნაკლები.
8. **კლიენტი** ვალდებულია, **მიზნობრივი ანაბრის** მოქმედების მთელი ვადის მანძილზე, **ბანკში** იქონიოს მინიმუმ ერთი აქტიური **მიმდინარე ანგარიში**.
9. **მიზნობრივი ანაბრის** ვადის გასვლის შემდეგ, **ანაბრის თანხა** განთავსდება **კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე**.